სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 28 მაისი, 2024
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: დისტანციურად, Zoom პლატფორმის გამოყენებით
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული, დიანა გვიშიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ა) ანა ბიბილაშვილის, ლაშა ადამაშვილის, ქეთევან აბულაძის, ენვერ აბულაძის, ალექსანდრე დოლიძის, ირაკლი კაკიაშვილის, დავით დუმბაძის, თორნიკე ჯანელიძის, მარიამ აბესაძის, გიორგი შავლიაშვილის, აკაკი ქორიძის, თამუნა კიკილაშვილის, გიორგი მაჭარაშვილის, სოფო ბეჭვაიას, ხატია კაცაძის, მაია ივანიძის და უჩა ტატანაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ბიბილაშვილის, ლაშა ადამაშვილის, ქეთევან აბულაძის, ენვერ აბულაძის, ალექსანდრე დოლიძის, ირაკლი კაკიაშვილის, დავით დუმბაძის, თორნიკე ჯანელიძის, მარიამ აბესაძის, გიორგი შავლიაშვილის, აკაკი ქორიძის, თამუნა კიკილაშვილის, გიორგი მაჭარაშვილის, სოფო ბეჭვაიას, ხატია კაცაძის, მაია ივანიძის და უჩა ტატანაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

ბ) რესან შარაშიძის განცხადებას.

საბჭოს წევრები გაეცნენ რესან შარაშიძის მიერ წარმოდგენილ გაწევრიანების განაცხადს. განაცხადზე თანდართული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატით დგინდება, რომ განმცხადებელმა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2013 წლის 28 ივნისს, რის შემდგომაც არ გაწევრიანებულა ადვოკატთა ასოციაციაში. განმცხადებელმა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსი დაიწყო 2021 წლის 01 მაისს, ხოლო განმცხადებელმა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.5 მუხლის საფუძველზე, პირადი განცხადების საფუძველზე, შეჩერებული ქონდა სტაჟირების გავლის ვალდებულება. რესან შარაშიძემ პროფესიული ადაპტაციის პროგრამა დაასრულა 2024 წლის 07 მარტს.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. ხოლო, ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 (ათი) წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს რესან შარაშიძის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების განაცხადი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ დაკმაყოფილდეს რესან შარაშიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**
2. **განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ლიზა ონიკაშვილის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლიზა ონიკაშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლიზა ონიკაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნელი ქარელის და თამუნა კიკილაშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნელი ქარელის და თამუნა კიკილაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. კომიტეტებში გაწევრიანების და წევრობის შეწყვეტის შესახებ განცხადებების განხილვა.

(ა) თამარ ანთაურის განცხადება, საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ თამარ ანთაურის განცხადებას საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს თამარ ანთაურის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს თამარ ანთაურის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტის წევრებად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(ბ) ნატო ხადურის განცხადება, ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ნატო ხადურის განცხადებას ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს ნატო ხადურის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ნატო ხადურის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(გ) ნათელა თავზარაშვილის განცხადება, ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

წევრები გაეცნენ ნათელა თავზარაშვილის განცხადებას ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის წევრობიდან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის დებულების 6.5 მუხლის თანახმად, კომიტეტის წევრს შესაძლოა ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილების ვადა, პირადი განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნათელა თავზარაშვილის განცხადება და ადვოკატის პროფესიული

უფლებების კომიტეტის დებულების 6.5 მუხლის თანახმად, მას ვადამდე შეუწყდეს კომიტეტის წევრობის უფლებამოსილება.

(დ) გიგა სვანიძის განცხადება, ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ გიგა სვანიძის განცხადებას ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს გიგა სვანიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს გიგა სვანიძის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(ე) მარინა მანგოშვილის განცხადება, ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ მარინა მანგოშვილის განცხადებას ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის დებულების 5.7 მუხლის თანახმად, კომიტეტის თავმჯდომარის და თანა-თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარინა მანგოშვილის განცხადება და ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის დებულების 5.7 მუხლის თანახმად, მას ვადამდე შეუწყდეს კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

საკითხი 5. ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავიდან დაკომპლექტების შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ რადგანაც ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარემ მომართა აღმასრულებელ საბჭოს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და აღნიშნული კომიტეტის დებულების 4.5 მუხლის თანახმად, კომიტეტის წევრები დამტკიცებულია აღმასრულებელი საბჭოს მიერ, კომიტეტის თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე, შესაბამისად მიზანშეწონილია მოხდეს კომიტეტის შემადგენლობის განახლება და აღმასრულებელმა საბჭომ თავიდან დააკომპლექტოს კომიტეტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gba.ge გამოცხადდეს იმერეთის ადვოკატის პროფესიული უფლებების რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის/თანათავმჯდომარის და წევრთა შესარჩევა და მსურველმა კანდიდატებმა, 2024 წლის 15 ივნისის 17:00 საათამდე წარმოადგინონ თავიანთი ბიოგრაფია (CV) და სამოტივაციო წერილი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონულ კომიტეტს.

(ბ) კომიტეტის თავმჯდომარის/თანათავმჯდომარის და წევრობის მსურველ კანდიდატებს მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები არაუგვიანეს 2024 წლის 15 ივნისის 17:00 საათამდე.

საკითხი 6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - გიორგი ჟუჟუნაშვილის და თეონა გოგლიჩაძის განცხადებებს თანდართული ბიოგრაფიებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად გიორგი ჟუჟუნაშვილის და თეონა გოგლიჩაძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნინო ელიკაშვილის განცხადებას ხელახლა გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წევრობა ჰქონდა შეწყვეტილი საწევრო დავალიანების გამო 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, დავალიანებით 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

წევრებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს გადახდილი ჰქონდა საწევრო დავალიანების ნაწილი 200 (ორასი) ლარის ოდენობით და საბჭოს მომართავდა თხოვნით აღდგენოდა უფლებამოსილება და გადავადებოდა დარჩენილი საწევრო დავალიანების გადახდა.

წევრებმა განაცხადეს, რომ საბჭო უფლებამოსილია განმცხადებელს მისცეს შესაძლებლობა მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, გადაუვადოს განმცხადებელს დარჩენილი საწევრო დავალიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს ნინო ელიკაშვილის განცხადება და მას აღუდგეს წევრობა.

2. განმცხადებელს მიეცეს შესაძლებლობა დარჩენილი საწევრო დავალიანება დაფაროს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შედეგად შემოსული, გადავადების მოთხოვნის განმცხადებლებთან ერთად.

3. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს განმცხადებელს.

(ბ) რამაზ რაზმაძის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაციის შესახებ.

რამაზ რაზმაძემ ადვოკატთა ასოციაციას მომართა 2024 წლის 02 მაისს. განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ მას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2015 წლის 23 მაისს, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

განმცხადებელი მომართავს საბჭოს, გამონაკლისის სახით, შეეუერთდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 2024 წლის საგაზაფხულო ნაკადს, რადგან საშემოდგომო ნაკადზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სერტიფიკატის მოქმედების ვადაში (2025 წლის 23 მაისი) ვერ მოასწრებს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას.

საბჭოს წევრებს მიეწოდათ სასწავლო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. სასწავლო ცენტრის განმარტებით, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების შესაბამისად, პროგრამაზე რეგისტრაცია დაიწყო 2024 წლის 29 იანვარს და დასრულდა 2024 წლის 22 თებერვალს, ხოლო, პროგრამის 2024 წლის საგაზაფხულო ნაკადზე თეორიული სწავლება დაიწყო 2024 წლის 11 აპრილს. აღსანიშნავია, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს. თეორიული კურსის განმავლობაში, ადაპტაციის პროგრამის მსმენელმა უნდა დააგროვოს მინიმალური საათების რაოდენობა, რათა თეორიული ნაწილი გავლილად ჩაეთვალოს.

მაშინ, როცა განმცხადებელმა განცხადებით მომართა ადვოკატთა ასოციაციას (2024 წლის 02 მაისი), პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საგაზაფხულო ნაკადის 3 თვიანი თეორიული კურსიდან უკვე გასული იყო 2 თვე, რაც შეუძლებელს ხდის განმცხადებლისთვის, პროგრამის თეორიული ნაწილის გავლას, რადგან დარჩენილ 1 თვეში შეუძლებელია განმცხადებელმა დააგროვოს თეორიული კურსის ჩასათვლელად აუცილებელი საათების რაოდენობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს რამაზ რაზმაძის განცხადება.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(გ) სალომე გოგლიძის განცხადებას, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე გოგლიძის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.7 მუხლის თანახმად, მიეცეს შესაძლებლობა შეარჩიოს ახალი სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

(დ) თეონა ბერუაშვილის განცხადებას, საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს, აღმასრულებელი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე, დავალიანებით შეუჩერდა უფლებამოსილება, დავალიანება შეადგენდა 200 (ორასი) ლარს. განმცხადებლის განმარტებით, რადგანაც პირადი განცხადებით შეიჩერა უფლებამოსილება და არ აპირებდა 2024 წელს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას, მომართავდა საბჭოს გათავისუფლებულიყო 2024 წლის საწევრო დავალიანების გადახდისაგან.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს თეონა ბერუაშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს თეონა ბერუაშვილის განცხადება 2024 წლის საწევრო დავალიანების გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ე) მამუკა ჩომახაშვილის განცხადებას, ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საბჭოს წევრები გაეცნენ მამუკა ჩომახაშვილის მიერ წარმოდგენილ გაწევრიანების განცხადებას. განაცხადზე თანდართული პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატით დგინდება, რომ განმცხადებელმა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2003 წლის 15 თებერვალს, რის შემდგომაც არ გაწევრიანებულა ადვოკატთა ასოციაციაში. განცხადებაზე, ასევე, თანდართულია ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ განმცხადებელი 2004 წლიდან დღემდე მუშაობს შსს საპატრულო დეპარტამენტში, სხვადასხვა პოზიციაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. ხოლო, ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 (ათი) წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მამუკა ჩომახაშვილის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ განაცხადი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ დაკმაყოფილდეს მამუკა ჩომახაშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**
2. **განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.**

(ვ) მანუჩარ ჭუმბურიძის განცხადებას, წევრობის აღდგენის შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე, მანუჩარ ჭუმბურიძეს შეჩერებული აქვს ასოციაციის წევრობა.

მანუჩარ ჭუმბურიძეს, განცხადებაზე თანდართული აქვს ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ განმცხადებელი ნასამართლევია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რადგანაც, განმცხადებელი ნასამართლევია ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მისი განცხადება შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლთან და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მანუჩარ ჭუმბურიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის წევრობის აღდგენის შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე